

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/49

თბილისი

“ 14 “ ივლისი 2017 წ.

შინაგანაწესში, აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესში
ცვლილების/დამატებების შეტანის და აკადემიური პერსონალის აფილირების წესის
დამტკიცების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთსუ-ის წესდების მე-5
მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის
77/ნ ბრძანების პირველი მუხლის და გთსუ-ის და 2017 წლის 14 ივლისის აკადემიური
საბჭოს სხდომის ოქმი N 5 (ამონაწერის) საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

შევიდეს ცვლილება დაემატოს მუხლი რექტორის 2009 წლის 7 მაისის №01-
01/08 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში და ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით:

1. მუხლი 21¹ - აფილირების წესი და პირობები

1. აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს
შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის
მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან, ამ უსდ-ის
სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების
პროცესებში და ამ უსდ-ში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო
მისი კვლევის შედეგები ეთვლება აღნიშნულ უსდ-ს;
- აქტიურად არის ჩართული უსდ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა
მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა
აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტი წინასწარ აცხადებს თანხმობას გთსუ-სთან აფილირების შესახებ და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ხელშეკრულების დადებითა და შესაბამისი თანხმობის ფორმის შევსებით კვლავ ადასტურებს მას.
3. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა უსდ-სთან მასთან წყდება შრომითი ხელშეკრულება და იგი ტოვებს აკადემიურ თანამდებობას.
4. აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმას ამტკიცებს რექტორი.

§ 2

შევიდეს ცვლილება რექტორის 2009 წლის 7 მაისის №01-01/08 ბრძანებით დამტკიცებულ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესში დაემატოს მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5.8. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა მოახდინოს გთსუ-სთან აფილირების შესახებ წერილობითი შეთანხმება.

§ 3

დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმები (დანართი #1 და დანართი #2)

- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

შეთანხმება

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში
მონაწილე პირთან

მე -----პ/ნ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში აფილირებული ვიყო შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტთან“, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლის შედეგები ჩაეთვალოს გთსუ-ს. იმ შემთხვევაში თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან თანახმა ვარ შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება და დავტოვო აკადემიური თანამდებობა.

-----/ხელმოწერა/

შეთანხმება

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის მქონე პირთან

მე ----- პ/ნ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აფილირებული ვიყო შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტთან“, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს გთსუ-ს. იმ შემთხვევაში თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან თანახმა ვარ შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება და დავტოვო აკადემიური თანამდებობა.

----- /ხელმოწერა/